



ინდუსტრიების განვითარება საქართველოში COVID-19 კრიზისამდე



ინდუსტრიების განვითარება საქართველოში COVID-19 კრიზისამდე


ავტორი: ელენე მინაშვილი

ეკონომიკურ საქმიანობას, სხვადასხვა სექტორში, შეუძლია განსაზღვროს ქვეყნის განვითარების მიმართულება. ინდუსტრიები, საქართველოში ტრანსფორმაციას და განვითარებას როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზრის შესაბამისად განიცდიან. განვითარებად ეკონომიკებში ინდუსტრიული ზრდა აისახება: უმაღლესი პროდუქტიულობის მიღწევაში, ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში, ინტელექტუალური წარმოების პროცესების დანერგვაში და სამრეწველო წარმოების ეფექტების შემცირებაში გარემოზე და კლიმატზე.

საერთაშორისო ასპარეზზე, ეკონომიკური ინდუსტრიების უკეთ გაანალიზებისა და შედარების მიზნით ინდექსების შედარება ფართოდ გავრცელებული მეთოდია. კონკურენტული ინდუსტრიული განვითარების (The Competitive Industrial Performance - CIP) ინდექსი წარმოადგენს რამდენიმე კომპონენტისგან შემდგარ საზომს, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის დასადგენად, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ეროვნულ / ადგილობრივ წარმოებაში. საერთაშორისო განვითარების სააგენტოები CIP ინდექსს ფართოდ გამოიყენებენ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების დასადგენად. წარმოების გლობალური რეიტინგი ემყარება რვა ინდიკატორის ანალიზს, რომლებიც ასახავს სამ განზომილებას:

- სამრეწველო პროდუქციის წარმოების და ექსპორტის მასშტაბი;
- ტექნოლოგიური განვითარების და განახლების მოცულობა ;
- გავლენა მსოფლიო ბაზარზე.


CIP ინდექსის მსოფლიო რუკა, 2017



ცხრილი 1 აღწერს 2017 წლის CIP რეიტინგში მყოფ ტოპ ქვეყნებს. რაც უფრო მუქია ქვეყნის ფერი, მით უფრო მაღალ პოზიციას იკავებს რეიტინგში. გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიხედვით 2017 წელს CIP ინდექსის მიხედვით ტოპ 10 ქვეყანა შესაბამისად იყო გერმანია, იაპონია, ჩინეთი, კორეა, აშშ, ირლანდია, შვეიცარია, ბელგია, იტალია და ნიდერლანდები. 2012-დან 2017 წლამდე გერმანია და იაპონია შესაბამისად პირველ და მეორე ადგილს იკავებდნენ. ჩინეთი, რომელიც მეხუთე ადგილზე იყო, 2015 წელს ტოპ სამში მოხვდა და აშშ რეიტინგში დაბლა ჩააჩოჩა. რაც შეეხება საქართველოს, რომელიც 97-ე ადგილს იკავებდა 2012 წელს, დაწინაურდა და 2017 წელს 94-ე ადგილი დაიკავა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველთვის უფრო მაღალ პოზიციას იკავებდა სამხრეთ კავკასიის ორ სხვა ქვეყანასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით.


საქართველოს ინდუსტრიის განვითარებას შიდა ბაზარზე შეიძლება თვალყური ვადევნოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშების საშუალებით, რომელიც გვთავაზობს 16 სახის ეკონომიკურ აქტივობას და ყოველწლიურად თავის ოფიციალურ საიტზე აქვეყნებს პროდუქციის გამოშვების, ბრუნვის, დამატებული ღირებულების, დასაქმების და სხვა მონაცემებს. საინტერესოა შევადაროთ როგორ შეიცვალა ინდუსტრიები საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და რომელმა მათგანმა განიცადა ყველაზე დიდი ცვლილება:

თლიანი წარმოება და მისი ზრდის ტემპი საქართველოში, 2012 – 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოების რაოდენობა ტოპ 5 ეკონომიკური აქტივობის მიხედვით საქართველოში, 2012 და 2018




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილ 2-შია წარმოდგენილი, მთლიან წარმოებაში ყველაზე დიდი ზრდა 2015 წელს შეინიშნებოდა (15%), როდესაც ყველაზე პატარა ზრდას 2013 (2%) და 2018 (9%) წლებში ვხედავთ.

რაც შეეხება კონკრეტულ ინდუსტრიებს, ცხრილი 3-ის მიხედვით დამამუშავებელ მრეწველობას (საკვები პროდუქტების, რეზინის, პლასტმასის, ტექსტილის, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების წარმოება) ქონდა ყველაზე დიდი ზრდა 2012-დან 2018 წლამდე, ამასთან ყველაზე მცირე ზრდა ხელოვნება, გართობა და დასვენებას ქონდა (3%).


დამამუშავებელ მრეწველობის ეკონომიკური აქტივობის წარმოების მსგავსი ზრდის მიზეზი იყო მრავალი ფაქტორი, ისეთი, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, EFTA-ს ქვეყნებთან (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი), თურქეთი და დსთ-ს ქვეყნები (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ა.შ.) და პრეფერენციების ზოგადი სისტემის (GSP) შეთანხმებას აშშ-ს, კანადასა და იაპონიასთან.

მთლიანი ბრუნვა და ზრდის ტემპი საქართველოში, 2012 - 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთლიანი ბრუნვა და ზრდის ტემპი საქართველოში, 2012 - 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 5-ის მიხედვით, 2012 და 2018 წლებში ხელოვნება, გართობა და დასვენების ბრუნვამ ყველაზე დიდი ზრდა განიცადა, 3%-დან 16%-მდე მთლიანი რაოდენობიდან. რაც შეეხება დანარჩენ ეკონომიკურ აქტივობებს, მათი წილი თითქმის უცვლელი დარჩა წლების განმავლობაში. საბითუმო და საცალო ვაჭრობას (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი) ყველაზე დიდი წილი ჰქონდა ბრუნვაში. აღნიშნული ტრენდი გაგრძელდა 2019 წელსაც, როდესაც ავტომობილებმა თოპ 10 ექსპორტიორების სიაში პირველი ადგილი დაიკავეს \$686.7 მილიონით, რაც მთლიანი ექსპორტის 18.2% შეადგენდა. 2018 წელთან შედარებით, ავტომობილების რექსპორტი გაიზარდა 68.2%-ით 2019 წელს, და 18.2%-ით მთლიან ექსპორტში.


წლების განმავლობაში მთლიან ბრუნვაში წილით სიდიდით მეორე იყო წარმოება და მშენებლობა. ორივე ეკონომიკურ საქმიანობაზე გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ტენდერი ფოთის ჩრდილოეთით, ანაკლიაში ნავსადგურისა და თავისუფალი სავაჭრო ზონის მშენებლობისთვის, საქართველოს პორტების და კავკასიის სატრანზიტო დერეფნის საერთო შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. პროექტი ასევე ითვალისწინებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სარკინიგზო ქსელის მოდერნიზაციას, ასევე თურქმენეთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის რეგიონს, რომელიც მდებარეობს კასპიის ზღვის მეორე მხარეს.

მშენებლობა ქვეყნის მთლიან ბრუნვაში მეორე ყველაზე დიდი წილის მფლობელი ინდუსტრიაა. მისი ბრუნვის ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს შენობების დიდი რაოდენობის ზრდით საქართველოში. მშენებლობის მაქსიმალური მოცულობა საქართველოში 2016 წელს იყო. მისი მთლიანი ფართობი იყო 2.4 მილიონი მ² რეგიონების მიხედვით, პროექტების 29% თბილისზე მოდის, მას მოყვება კახეთი 16%-იანი წილით.

ახალი საბანკო რეგულაციების დაწყებამდე, 2018 წლის გაზაფხულიდან, სექტორში მშენებლობის უსაფრთხოების ახალი სტანდარტები იქნა შემოღებული. შეზღუდვებს გავლენა აქვთ როგორც მშენებლობის პროცესზე, ასევე მშენებლობის ნებართვის რეგულაციებზე, რომელთა ამოქმედებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად, მშენებლობის სექტორის ზრდის ტენდენცია შენელდა. სამშენებლო სექტორი, ყველაზე მეტ ზეგავლენას საბანკო რეგულაციებზე ახდენს. 2019 წლის პირველ კვარტალში სექტორის ბრუნვა წინა წელთან შედარებით 9.6% -ით შემცირდა.

მშპ-ის საერთო სურათის დანახვა, რომელიც გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის ზომის შესაფასებლად, შესაძლოა კარგი საშუალება იყოს იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ არის განაწილებული ეკონომიკური საქმიანობა, მათგან რომელს უჭირავს ყველაზე მეტი წილი და რა წვლილი აქვთ მათ 2018 წელს საქართველოს ეკონომიკაში.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკური აქტივობების მიხედვით, 2018 წ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმისათვის რომ ეკონომიკურ აქტივობების ანალიზი გავაკეთოთ მშპ-სთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 2019 წლის პირველ ნახევარში, 2018 წლის იგივე პერიოდთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკა (რეალური მშპ) 4.7%-ით გაიზარდა. 2019 წლის მეორე კვარტალში წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით ეკონომიკურმა ზრდამ 4.5% შეადგინა. აღნიშნული ზრდა წარმოადგენდა 321,1 ლარის ნამატს რეალურ მშპ-ში.

ცხრილ 4-ში ვხედავთ ეკონომიკური აქტივობების წილს 2018 წელს საქართველოს მშპ-ში. საბითუმო და საცალო ვაჭრობას ყველაზე დიდი წილი ქონდა (13,9%), მაშინ როდესაც საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებს და ტრანსპორტი და დასაწყობებას - ყველაზე ნაკლები (6%).

2019 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის სამ სექტორში დაფიქსირდა კლება: მშენებლობა 6.8%-ით შემცირდა, სამთო მოპოვებითი მრეწველობა 5.8%-ით, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობა 3.2%-ით. 2019 წლის მე-2 კვარტალში (აპრილი-ივნისი) ყველაზე მაღალი ზრდა (18%) ტრანსპორტის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მაღალი კლება, განათლების სექტორში (-8%).

ამასთან, საინტერესოა გადავხედოთ საერთაშორისო გამოცემების მოსაზრებას საქართველოს ინდუსტრიებზე. რომელია ყველაზე პოპულარული და რას აქვთ ყველაზე დიდი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე? 2019 წელს „Worldatlass“-ის მიერ მომზადებულ სტატიაში, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 1994 წლიდან სთავაზობს მკითხველს ინფორმაციას, საქართველოს განვითარებაში ყველაზე დიდი გავლენა სოფლის მეურნეობას, მეტალის მომპოვებელი მრეწველობას, ტურიზმს და ენერჯეტიკას გააჩნიათ.

მეტალის მომპოვებელი მრეწველობა

იმის გარდა, რომ ქართველებმა ლითონის სპილენძთან ერთად მოპოვება ქრისტეშობამდე დაიწყეს, ამასთან, უძველეს დროში მოიპოვებდნენ ოქროს, ბრინჯაოს, თითბერს და რკინას. საქართველო საუკუნეების განმავლობაში მაღალი დონის მანგანუმის მწარმოებელი იყო. საქართველოს სამასზე მეტი მინერალური საბადოები გააჩნია, თუმცა აქედან მხოლოდ 50%-ის წარმოება ხდება.

სოფლის მეურნეობა

საქართველოში, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 55%-ზე მეტი. ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზი საკუთარი სასოფლო მეურნეობებია. საქართველოს ნიადაგმა და კლიმატმა სოფლის მეურნეობის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული სექტორი გახადა, რაც 2018 წელს ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 7.8% შეადგინა, ხოლო სოფლის მეურნეობის და თევზაობის მთლიანი წარმოება 4 მილიარდი ლარი.

ტურიზმი

ტურიზმის სექტორი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რამაც ქვეყნის მშპ-ს 7.6% შეადგინა და 1,94 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. საქართველოს ექსპორტის შემოსავლის 71.8%-ს ტურიზმი შეადგენს. საერთაშორისო ტურიზმიდან საქართველოს შემოსავალმა 2018 წელს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ქვეყანას 2018 წელს 8,7 მილიონი ვიზიტორი ყავდა, რამაც 2,6 მილიარდი დოლარი შეადგინა ამავე წლის პირველ სამ კვარტალში. ყველა საერთაშორისო ტურისტი ქვეყანაში საშუალოდ 6.5 დღის განმავლობაში რჩება. 2018 წელს 1,404.757 ტურისტი ჩამოვიდა რუსეთიდან, 1,424,610 აზერბაიჯანიდან, 1,098,555 თურქეთიდან და 1,268,886 სომხეთიდან.

ენერგეტიკა

საქართველოს გააჩნია დიდი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრე, რაც ქვეყანას რეგიონის წამყვანი მიმწოდებლის პოტენციალს ანიჭებს. ქვეყნის 26,000 მდინარიდან 300 ენერგეტიკის წარმოებისთვის მნიშვნელოვანია. საშუალო ჰიდროლოგიური პირობებზე დაკვირვებიდან გამომდინარე, ჰიდროენერგეტიკა მოიცავს საქართველოს გენერაციის სიმძლავრის 80%-ზე მეტს და ელექტროენერჯის წარმოქმნის 75-90%-მდე შესაძლებლობას. 2015 წლის ბოლოსთვის საქართველოში გაშენდა 70-ზე მეტი მოქმედი ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო მოცულობა 2,727 მეგავატი.

PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.¹

www.pmo-bc.com

(+995 32) 2 37 73 07

რაფაელ ერისთავის ქ. 16

თბილისი, 0179, საქართველო



¹ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com